ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი 20 იანვარი 2013 წ

ჩვენ, ერთის მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სარაგბო კლუბი ბათუმი“, შემდგომში წოდებული, როგორც შემსყიდველი, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ფხაკაძის სახით და მეოეს მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “იმედი“, შემდგომში წოდებული, როგორც მიმწოდებელი, ორივე ერთად წოდებული მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულებასახელმწიფო შესწიდვის შესახებ“(შემდგომში ხელშეკრულება)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც მოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ამ ხელშეკრულებაში არის მინიშნებები
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს შემსყიდველმა მომწოდებელს ამ უკანასკნელის მხრიდან ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების შემდეგ
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
1.4. „შემსყიდველი“- შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი“
1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის“ მიერ რაგბის ბურთების მიწოდება . ბურთების რაოდენობა შეადგენს 40 (ორმოცი) ცალს

მუხლი 3 ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება სულ წარმოადგენს 880(რვაასოთხმოცი) ლარს. ერთი რაგბის ბურთის ღირებულება 22 (ოცდაორი) ლარი. საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შემსყიდველი, ამასთან ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი,რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი“

მუხლი 4 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება.
ბ) პასუხს აგებს უხარისხო მომსახურეობის გაწევისათვის
გ) განიხილოს „შემსყიდველის“ პრეტენზიები და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება
4.2. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობანი
ა) უფლება აქვსუზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
ბ) ვალდებულია გადაუხადოს“მიმწოდებელს“ ხელშეკრულებაში განსაზღვრული საზღაური ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად
გ) „მიმწოდებელს “ წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ , რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდებისას
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

მუხლი 5 ანგარიშსწორების წესი

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი წეცით
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად

მუხლი 6 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების მომენტში წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის რომელიმე მხარეს განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით.
6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 7 დავების გადაწყვეტის წესი
7.1. ხელშეკრულების შესრულებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით
7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8 ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

მუხლი 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან

9.2. მიწოდების ვადათ განსაზრვრულია 2013 წლის 08თებერვალი

მუხლი 10 დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებიდან სტიქიური უბედურების, მიწისძვრის, ბუნებრივი კატაკლიზმების ან საომარი და საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში. ასევე ყველა იმ შემთხვევაში, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა მიიჩნევს დაუძლეველ ძალად.

მუხლი 11 სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორიგინალურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო დანარჩენი ინახება „შემსყიდველთან“

11.2. მხარეთა რეკვიზიტები

ა) „შემსყიდველი“

შპს სარაგბო კლუბი ბათუმი
ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქ.# 25
ს/ნ 445393495
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE 22
ა/ნ GE 60BG 0000000284375600

ბ)“ მიმწოდებელი“
ბ) შპს იმედი
თბილისი დ. აღმაშენებლის 197
ს/ნ 401943634
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE 22
ა/ნ GE74 BG 0000000644062600

შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი“–ს დირექტორი
თამაზ ფხაკაძე

შპს „იმედი“–ს დირექტორი
ელზა შახდინამოვა